ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ # --- (პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს
ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

„ „ ---------- —— წელს

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შპს "თბილსერვის ჯგუფი" (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის სახით, მეორეს მხრივ, ---------- (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი ---------- სახით, მისამართი -----
---
----------.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველის მიერ ჩატარებულ ელექტრონულ ტენდერში გაიმარჯვა მიმწოდებლის სატენდერო წინადადებამ (სატენდერო განცხადების ნომერი), რომლის თანახმად, მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს (CPV ------) ---------- შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში;

3.2 შესასყიდი ობიექტის ფასი (შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს შეადგენს -------- (ხელშეკრულების თანხა ციფრებით,სიტყვიერად)

4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი, საგარანტიო ვადა და პირობები

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ მოწოდებული საქონელი შეესაბამება ყველა მოქმედ თანამედროვე ტექნიკურ სტანდარტებს და ნორმებს, ხოლო რაოდენობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ შესასყიდი საქონელი არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და იღებს პასუხისმგებლობას მისი წარმოშობის კანონიერებაზე.

4.3 შესყიდვის ოებიქტის საგარანტიო ვადაა არანაკლებ 10 წელი. სწორი/მიზნობრივი ექსპლუატაციის შემთხვევაში საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს წუნდებული (მწყობრიდან გამოსული) საქონლის შეკეთება. თუ მწყობრიდან გამოსული საქონელი არ ექვედებარება შეკეთებას, მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს მწყობრიდან გამოსული საქონელი იგივე მოდელის საქონლით (ახალი) ან გაუმჯობესებული ტექნიკური პარამეტრების მქონე საქონლით (ახალი) წერილობითი შეტყობინებიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში.

ზემოაღნიშნული ვადის გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაცვლელი სანათ(ებ)ის ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება სატენდერო პირობების შესაბამისად. მიწოდების ადგილი – სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით და ტექნიკური საშუალებებით.

6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 თუ აღმოჩნდება, რომ შესყიდვის საგანი უხარისხო ან ნაკლოვანია, მიმწოდებელი უზრუნველყოფს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლას.

6.3 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირები არიან შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ს საწყობის მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, რომლებიც მიღებას ახორციელებენ ინსპექტირების აქტის (დასკვნის) საფუძველზე.

6.4 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (რეზიდენტის შემთხვევაში).

7. ანგარიშსწორება

7.1შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება მოხდება კვარტალურად, საბოლოო მიღება-ჩაბარების ატის გაფორმებიდან 120 თვის (40 კვარტალი) განმავლობაში, ყოველი კალენდარული კვარტლის ბოლოს. პირველი ოთხი კვარტლის განმავლობაში ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდებული სანათებით მიმდინარე კვარტლის ბოლომდე მიღებული ეკონომიის შესაბამისად, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდა განხორციელდება პროპორციულად, დარჩენილი პერიოდის განმავლობაში (ყოველი კვარტლის ბოლოს). შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორება დაიწყება მხოლოდ საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ).

გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმდება ლარში ან უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი ან ევრო) შემსყიდველის მიერ სისტემაში ატვირთული წერილობითი მოთხოვნით, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადების მიღების დასრულების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად დაკორექტირებული ფასების ცხრილის (აშშ დოლარში ან ევროში) მიხედვით, ხოლო ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (რეზიდენტი პირების შემთხვევაში) გადახდის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს "მიმწოდებელი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" საქონლის ღირებულება;

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა "მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულების პირობებისდაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.2.4 მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკლოვანი ან უხარისხო საქონლის შეცვლა ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 2.1 მუხლში აღნიშნული საქონელი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები საკუთრებაში.

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს "შემსყიდველი" ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ

8.3.4 აუნაზღაუროს „შემსყიდველს" ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ანარაჯეროვანი შესრულებით.

8.3.5 საკუთარი ხარჯებით შეცვალოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი უხარისხო საქონელი ან აღმოფხვრას არსებული ნაკლი.

8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.4.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.05%-ის ოდენობით;

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის დაგვიანებული დღეების რაოდენობა გადააჭარბებს 30 კალენდარულ დღეს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულებისთვის მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% –ის ოდენობით;

9.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ჩამოერთმევა სრულად შემსყიდველის სასარგებლოდ

9.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და

განახორციელოს მოწოდებული საქონლის ხარისხის ინსპექტირება;

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მისშრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

10.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ს ინსპექტირების ჯგუფი;

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

12. გარანტია

12.1 ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების 5%–ის ოდენობით, (იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ პრეტენდენტს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 10%-მდე ოდენობით). საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას. უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

შესყიდვი ობიექტის სრულად მიწოდების შემდგომ მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ღირებულების 2%–ის ოდენობით. უპირობო, გამოუთხოვადი ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

2%-იანი საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს 5%-იანი ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

2%-იანი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს 5%-იანი საბანკო გარანტიის ვადის ამოწურვიდან 5 წელი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს პროლონგირების (ვადის გარგძელების) პირობას, ვადის ამოწურვიდან მომდევნო 5 წლით, რის შესახებაც შემსყიდველის (ბენეფიციარის) წერილობითი ინფორმირება უნდა განხორციელდეს გარანტიის ვადის ამოწურვამდე არანაკლებ 60 (სამოცი) კალენდარული დღით ადრე;
იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველს (ბენეფიციარს) გარანტიის ვადის გასვლამდე არანაკლებ 60 (სამოცი) კალენდარული დღით ადრე არ ეცნობება საბანკო გარანტიის მომდევნო 5 (ხუთი) წლით ვადის გაგრძელების შესახებ, შემსყიდველს (ბენეფიციარს) აქვს უფლება სრულად გამოითხოვოს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

იმ შემთხვევაში , თუ მიმწოდებელი (პრინციპალი) ვერ უზრუნველყოფს 5%-იანი შესრულების გარანტიის ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე 2%-იანი საბანკო გარანტიის შემსყიდველისთვის (ბენეფიციარისთვის) წარდგენას ზემოაღნინშული პირობებით, შემსყიდველს (ბენეფიციარს) აქვს უფლება სრულად გამოითხოვოს 5%-იანი საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

5%-იანი და 2%-იანი საბანკო გარანტიების ტექსტები წინასწარ უნდა იყოს შემსყიდველთან (ბენეფიციართან) შეთანხმებული მისთვის მისაღები ფორმით.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

13.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედხელშეკრულებაში;
13.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;
13.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის და `სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულებით~ გათვალისწინებული შემთხვევებისა;
13.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიცჩაითვლებახელშეკრულებისგანუყოფელნაწილად;

14. ფორსმაჟორი

14.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;
14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია ---- ---- ჩათვლით;

16. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

16.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

16.2 თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;

17. სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

17.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

17.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

17.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას.

17.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთანერთად.

17.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულენაზე;

17.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

17.9 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დაწარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს;

17.10 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთაღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას;

18. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	**"მიმწოდებელი"**
შპს "თბილსერვისჯგუფი"	შპს „----------"
დირექტორი	დირექტორი

საბანკო რეკვიზიტები

შპს „თბილსერვისჯგუფი"	შპს „----------"
მის: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი N67	მის: ----------
ს/ნ 206267494	ტელ: ----------
სს „ლიბერთი ბანკი"	ს/ნ----------
ცენტრალური ფილიალი	----------
კოდი:LBRTGE22	კოდი:----------
ანგ. N:GE90LB0113172770216000	ანგ. N: ----------